

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

## იაკობ გოგებაშვილის პატრიოტული სულისკვეთება

მაია ტოგონიძე

სსიპ ირაკლი ბაზაძის სახელობის საჩხერის რაიონ სოფელ მახათაურის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

### ანოტაცია

ნაშრომი შეეხება იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში პატრიოტულ სულისკვეთებას და მომავალი თაობების აღზრდას ამ სახელოვანი მამულიშვილის მაგალითზე. ამ მიზნით ვიმუშავე მე-3 კლასის მოსწავლეებთან პროექტზე “ჩვენ გვიყვარს იაკობ გოგებაშვილი“. გოგებაშვილის მოთხოვნების წაკითხვით მოსწავლეები მიხვდნენ სიკეთის, სამართლიანობის, მეგობრობის, ერთგულების, სამშობლოს სიყვარულის მნიშვნელობას, ისწავლეს კარგისა და ცუდის გარჩევა. პროექტის საბოლოო პროდუქტი მოსწავლეებმა წარმოადგინეს წიგნის სახით. წიგნის შექმნაზე მუშაობისას შეიძინეს წიგნის შექმნის გამოცდილება, აუმაღლდათ წიგნიერების კომპეტენცია.

პროექტში დასახული თითოეული მიზანი კონკრეტული და მიღწევადი იყო, ხოლო პროექტში დასახულმა თითოეულმა ამოცანამ და აქტივობამ ხელი შეუწყო პროექტში დასახულ მიზნებზე და შედეგებზე გასვლას.

**საკვანძო სიტყვები:** პატრიოტიზმი, აღზრდა, მოსწავლეები

იაკობ გოგებაშვილი-რამდენ სიტბოს, სიყვარულს და სინათლეს ასხივებს ეს სახელი.

დიახ, იაკობ გოგებაშვილის სახელს ქართველი ხალხი ყოველთვის აიგივებდა დედაენისა და სამშობლოს სიყვარულთან. მისი სახელი დაკავშირებულია ისეთ ადამიანურ თვისებებთან, როგორებიცაა ჰუმანურობა, პატრიოტიზმი, მეგობრობა, სიკეთე.

იაკობ გოგებაშვილმა ხომ, მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა მშობლიური ქვეყნის სიყვარულს, ქართველი ხალხის პატრიოტებად ჩამოყალიბების საქმეს; განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მწერლის პუბლიცისტური წერილები, რომლითაც ცდილობდა ქართველი ხალხის გამირული სულისკვეთებით გამსჭვალას და სამშობლოს სადარაჯოზე მოუწოდებდა მათ.

ამიტომ იაკობ გოგებაშვილის მთავარი მიზანი იყო მომავალი თაობები აღზრდილიყვნენ პატრიოტული სულისკვეთებით, რომლებიც გამსჭვალულნი იქნებოდნენ მშობლიური ენისა და ქვეყნის სიყვარულით, „ვისა ჰქვია პატრიოტი?“-კითხულობს პედაგოგი და

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

პასუხობს: “მას ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადალობებია; ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის აზროვნებისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღხენითა; ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“.

ასეთი თაობების აღზრდისათვის კი საჭირო იყო ქართველ ახალგაზრდობას მიეღო სწორი განათლება, შექმნილიყო სახალხო სკოლები, რომლებიც საზოგადოებას გამოუზრდიდნენ „ახალი ტიპის ქართველებს“.

ენა და სკოლა მიაჩნდა გოგებაშვილს ქართველი ხალხის არსებობისა და აღორძინების ერთ-ერთ მთავარ ძალად, რომელიც ქართველ ხალხს საშუალებას მისცემდა ეროვნულ ნიადაგზე განვითარებულ თანამედროვე კულტურის მაღალ მისწრაფებებს და მიღწევებს ზიარებოდა. ბავშვების აღზრდა დედაენის გარეშე მწერალს სამშობლოს ღალატად მიაჩნდა, ის მშობლები, რომლებიც შვილების აღზრდას ცდილობენ დედა-ენის გარეშე სამშობლოს და ქვეყნის წინაშე დამნაშავეებად მიიჩნევიდა.

გოგებაშვილმა კარგად იცოდა დედაენის ფასი, მისი აზრით მშობლიური ენის შესწავლა „ბავშვებს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით.“

სწორედ ამ მიზნით შექმნა მწერალმა „დედაენა „ და „ბუნების კარი“, რომლებიც პატრიოტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და მომავალ თაობებს ზრდის ქართული ტრადიციებისა და მშობლიური ენის უბადლო დამცველებად.

მან ამ წიგნებში დაწერილი თხზულებებით მომავალ თაობებს ჩაუნერგა მშობლიური ენის სიყვარული, სამშობლოსათვის თავდადება, ქართული ტრადიციების დაცვა და პატივისცემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერლის ისტორიული მოთხრობები, როგორებიცაა: “ცხრა ძმა ხერხეულიძენი“ , “გლეხი ბოსტაშვილი“, “ასპინძის ომი“, “ცოტნე დადიანი“, “თავდადებული მღვდელი თევდორე“ და სხვა. ეს ნაწარმოებები მომავალ თაობებში ადრეული ასაკიდანვე აღვივებს პატრიოტულ გრძნობას, აცნობს სამშობლოს ისტორიულ წარსულს და არ აძლევს მათ საქართველოს გმირული ცხოვრების დავიწყების საშუალებას;

აგრეთვე მნიშვნელოვანია მწერლის მიერ შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა უმრავლესობასაც თავისავე სოფელ ვარიანში კრებდა; ამ ფოლკლორული ნიმუშებით მწერალი ცდილობდა მომავალი თაობებისათვის მიეწოდებინა ბუნებრივი ქართული მეტყველების კარგი ნიმუშები, რაც ხელს შეუწყობდა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

მომავალი თაობებში ეროვნულ თვითმყოფადობის განვითარებას. სწორედ იაკობ გოგებაშვილი იყო პირველი, რომელმაც საზოგადოების გამგეობის წინაშე დააყენა საკითხი ხალხური სიტყვიერების შეკრების შესახებ.

იაკობ გოგებაშვილი მომავალი თაობების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას ცდილობდა, მაგრამ ეს უდიდესი ადამიანი წინააღმდეგი იყო ისეთი პატრიოტიზმისა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ძალმომრეობასა და სხვა ერების დამონება - დამცირებაზე. პირიქით, იაკობ გოგებაშვილი მომხრეა ისეთი პატრიოტიზმისა, რომელშიაც „ვისმე სიძულვილი, ვისმე დათრგუნვის სურვილი, ვისმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ მოიპოვება“.

ასეთ ჰუმანურ, კეთილშობილ, პატრიოტ ახალგაზრდების აღზრდაზე ოცნებობდა იაკობ გოგებაშვილი.

დღეს, რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს მონაპოვარი სულ უფრო და უფრო იჩრდილება და თაობიდან თაობას ვეღარ მიეწოდება სიტბო, რომელიც პირველმა „აი იამ დატოვა, დაფესვიანდა და სიყვარულმა პატარა მწერლებად და პოეტებად გვიქცია ბავშვები.

ამიტომ, ვცდილობ ჩემს მოსწავლეებს უფრო ახლოს გავაცნო ეს სასიქადულო მწერალი, რათა, აღიზარდონ მის იდეებზე, შეიყვარონ მშობლიური ენა და გაიზარდონ სამშობლოს საამაყო შვილებად .

სწორედ იმ მიზნით, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელი დავიწყებას არ მიეცეს და მომავალი თაობები აღიზარდოს ამ სახელოვანი ადამიანის იდეებზე, **მე-3 კლასში ვიმუშავე პროექტზე „ჩვენ გვიყვარს იაკობ გოგებაშვილი“**, რითაც ჩემმა მოსწავლეებმა კიდევ უფრო მეტად შეიყვარეს ეს სასიქადულო მამულიშვილი;

ამ პროექტზე მუშაობისას ჩემი მიზნები იყო:

- მოსწავლეები გაცნობოდნენ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიას;
- წაეკითხათ მწერლის მოთხრობები: ”იავნანამ რა ჰქმნა”(შემოკლებული ვარიანტი), ”ვაშლი და შაქარა”, “ყველაზე ლამაზი დედიკო”, ”ცრუ”, “სიკეთე ბოროტებისათვის” , ”დავით აღმაშენებელი”, ”თამარ მეფე”, ”მეფე ერეკლე და ინგილო ქალი”, “ფარნავაზ მეფე“
- გაცნობოდნენ იაკობ გოგებაშვილის წერილების ნაწყვეტებს: მიხეილ ზანდუკელის, ნიკოლოზ კანდელაკის წერილებიდან.
- შეძლებოდათ მათ მიერ შერჩეული მოთხრობებისა და წერილების ნაწყვეტების გადაწერა და წაკითხული ეპიზოდების ილუსტრირება;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- შეძლებოდათ წიგნის შექმნის მიზნით ფურცლების გარკვეული თანმიმდევრობით დაწყობა და შესაბამისი დიზაინით გაფორმება;
- მოეწყობოდა წაკითხული მოთხრობებიდან რამდენიმე ეპიზოდის ინსცენირება;

ეს მიზნები წინასწარ გავაცანი მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, მათი ასაკისათვის შესაბამის დონეზე. ისინიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ ამ პროექტზე მუშაობას; ამ ღვაწლმოსილი ადამიანის უფრო ახლოს გაცნობა და მისი შემოქმედების ზედმიწევნით გაცნობა მათივე სურვილი იყო, რადგან მოსწავლეები იაკობ გოგებაშვილს უკვე იცნობდნენ, როგორც „დედაენის“ შემქმნელს, დიდ საბავშვო მწერალს, წაკითხული ჰქონდათ მისი ზოგიერთი მოთხრობა;

პროექტი გრძელვადიანი იყო და გრძელდებოდა ოთხი კვირა; პროექტში ინტეგრირებულია საგნები : ქართული ენა და ხელოვნება, სადაც ნათლად ჩანს ამ ორი საგნის კავშირი. პროექტში ორივე დისციპლინიდან მოყვანილია ეროვნული სასწ. გეგმის მისაღწევი შედეგები. პროექტის საბოლოო პროდუქტში ნათლად ჩანს ამ ორი საგნის ინტეგრირება.

- მოსწავლეებს პირველი ორი კვირის განმავლობაში გავაცანი დავალების ინსტრუქცია, პროექტის მიზნები, წაკითხეს მწერლის მოთხრობები და წერილები; ამავე დროს, წინასწარ დავამზადე ბუკლეტები, სადაც ნათლად იყო განსაზღვრული პროექტის მიზნები, შედეგები, რა უნარები განუვითარდებოდათ მოსწავლეებს, რა როლი ექნებოდათ მშობლებს ამ პროექტის მანძილზე, მაგ: მშობლები დახმარებოდნენ მოსწავლეებს ექსკურსიის მოწყობაში და ინსცენირებებისათვის შესაბამისი ჩაცმულობის შეძენაში. ბუკლეტები ინდივიდუალურად თითოეულ მოსწავლეს გადავეცი.
- მსვლელობა:

პროექტის დასაწყისში კლასში დავსვი შეკითხვა : რა იცით იაკობ გოგებაშვილზე? ამ მიზნით შეავსეს „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ გრაფიკულ სქემა , რომელიც წინასწარ გამზადებული მქონდა და გადავეცი პერსონალურ ბუკებზე როუტერის საშუალებით; თავდაპირველად შეავსეს პირველი სვეტი; ხოლო ამის შემდეგ შეავსეს მეორე სვეტი- „რა მინდა ვიცოდე“- ბავშვებმა დაწერს ,რომ უნდათ უფრო მეტი სცოდნოდან მწერალზე, უფრო მეტ მოთხრობებს გაეცნობოდნენ და ა.შ.

- პროექტზე ეფექტურად მუშაობისათვის მოსწავლეებს დავავალე იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიის გაცნობა, მოთხრობების , წერილების, მწერალზე მოგონებების წაკითხვა; ჩავაწერინე შესაბამისი სახელმძღვანელოები, ინტერნეტსაიტები , ინფორმაციის მოძიების მიზნით დავგეგმეთ ექსკურსია გორში, სოფ.ვარიანში იაკობ გოგებაშვილის სახლ -მუზეუმში. მწერლის ცხოვრებასა და

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

მოღვაწეობაზე ლიტერატურას კლასში განვიხილავდით, ვმსჯელობდით მოთხრობების შინაარსზე, მწერლის ცხოვრებაზე; განსაკუთრებით კი დააინტერესათ მწერლის წერილებმა, რომლებიც პატრიოტული სულისკვეთებითა და ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულითაა გამსჭვალული. წერილების მოკლე ვარიანტებს განვიხილავდი და ასაკის შესატყვის ლექსიკით გადავცემდი მოსწავლეებს. სწორედ იაკობ გოგებაშვილის წერილებით აღიქვეს ბავშვებმა იაკობი, როგორც მშობლიურ ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული და ქართველი ბავშვების უსაზღვრო მოამაგე, რომელიც იბრძოდა სახალხო სკოლების დაარსებისათვის და ამის საფუძველზე მშობლიური ენის დაცვასა და გაძლიერებაზე, იგი ქვეყნის განვითარების ეროვნულ ნიადაგზე აღორძინების მომხრე იყო . მოსწავლეებმა გაიაზრეს, რომ იაკობ გოგებაშვილს მშობლიური ენის დაცვა გაიგივებული ჰქონდა ქვეყნის დაცვასა და განვითარებასთან.

მეორე კვირის ბოლოს, წიგნის შექმნის მიზნით, კლასი დაიყო სამ ჯგუფად „გადამწერებად“ ანუ „მწერლებად,“რომელთაც კარგი წერა ეხერხებოდათ და უნდა გადაეწერათ უკვე შერჩეული მოთხრობები და წერილები; „მხატვრებად“,რომელთაც ხატვა ეხერხებოდათ , დახატავდნენ უკვე გადაწერილი ტექსტის შესაბამის ილუსტრაციას და „წიგნის ამკინძავებად და დიზაინის შემქმნელებად“, რომლებიც ნიჟარებით შექმნიდნენ ყვავილებს, გააფერადებდნენ და თითოეულ ფურცელზე დააწებებდნენ ,აგრეთვე გამზადებულ მასალას შინაარსის მიხედვით აკინძავდნენ .

ჯგუფებს შევახსენე ჯგუფში მუშაობის წესები ; თითოეულმა ჯგუფმა თავიანთ ჯგუფს შეურჩია სახელი; აირჩიეს ლიდერი, შეადგინეს ჯგუფის სამოქმედო გეგმა დაუპირისუფლეს ჯგუფში მუშაობის შეფასების ცხრილი, რომლის კრიტერიუმების მიხედვით ერთმანეთს აფასებდნენ.

მესამე კვირიდან თითოეული ჯგუფი თავისი გეგმის მიხედვით მუშაობდა;

კვირის ბოლოს კი დაამზადეს წიგნის ყდა, შეთანხმდნენ რა ფორმას მისცემდნენ და გააფორმეს შესაბამისი მასალით;

ამავე დროს თითოეული ჯგუფი აკეთებდა POWERPOINT-ში სლაიდებს, რომელიც ჯგუფის მუშაობის ამსახველ პროცესს გამოხატავდა .

პროექტის დაწყებიდან მეოთხე კვირას კლასმა შეავსო „ვიცი ,მინდა ვიცოდე, ვისწავლეს“ ბოლო სვეტი, მოაწყვეს დისკუსია;

აგრეთვე ჯგუფებმა აირჩიეს იაკობ გოგებაშვილის რამდენიმე მოთხრობა, რომლის ინსცენირებაც სურდათ : „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, “სიკეთე ბოროტებისათვის“, “უსუნო ყვავილი“, ამოიწერეს თავთავიანთი ტექსტი, და გაიარეს რეპეტიციები შეარჩიეს თითოეული გმირის შესაბამის ჩაცმულობა.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

პროექტის პრეზენტაციის დროს უკვე შექმნილი წიგნიდან წაიკითხეს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, მოთხრობები, წერილები, ლექსები მოაწყვეს მოთხრობებიდან ინსცენირებები;

ამ პროექტის განხორციელებისას არსებობდა რისკები და შესაძლო ხარვეზები, რადგან პროექტი გრძელვადიანი იყო და შესაძლოა მოსაწყენი გამხდარიყო.

ამ რისკის თავიდან ასაცილებლად ხშირად ვუჩვენებდი ინტერნეტიდან მოძიებულ ვიდეო მასალებს, სადაც საუბარი იყო იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ვასმენინებდი მწერლის ხმის ვიდეოჩანაწერს. ყოველივე ამ აქტივობებით მათ არა მარტო გაეზრდათ პროექტზე მუშაობის მოტივაცია, არამედ ცოდნის დონეც აიმაღლეს. ამავე დროს, მოსწავლეები მოტივირებულნი იყვნენ იმით, რომ თითოეული მათგანი ჯგუფში მათთვის საყვარელ საქმეს აკეთებდა. მაგ., “მწერლების ჯგუფში ისხდნენ ის მოსწავლეები, რომელთაც წერა ეხერხებოდათ, “მხატვრების” ჯგუფში-ვისაც ხატვა ეხერხებოდათ და ა.შ.

აგრეთვე მინდა ვისაუბრო მოსწავლეების მიერ შექმნილ პროექტის საბოლოო პროდუქტზე - წიგნზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, წიგნი გარკვეული შინაარსის მიხედვით აკინძეს-თავდაპირველად პირველ ფურცელზე დაწერეს წიგნის შემქმნელების ვინაობა; ამას მოსდევს მწერლის სურათები და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, შემდეგ იაკობ გოგებაშვილის წერილები, საყმაწვილო ლიტერატურა, რომელიც დაიწყეს ერთ-ერთი შესანიშნავი მოთხრობით „იავნანამ რა ჰქმნა“ (ნაწყვეტი), ისტორიული მოთხრობები და ბოლოს მოგონებები იაკობ გოგებაშვილზე, სადაც მოყვანილი აქვთ რამდენიმე საზოგადო მოღვაწის აზრი ამ დიდ მწერალზე. წიგნი საინტერესოა იმით, რომ ხელნაწერია და თითოეული მოთხრობა ილუსტრირებულია შესაბამისი ნახატით, აგრეთვე წიგნის თითოეული ფურცელი გაფორმებულია ნიჟარებისაგან შექმნილი ყვავილებით, ხოლო ყდა ია-ია ყვავილებით, რადგან „იები“ ხომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენასთან“ ასოცირდება.

პროექტის ბოლოს მიღწეული შედეგები:

მოსწავლეები გაეცნენ მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას;

- გაიცვანეს იაკობ გოგებაშვილი, როგორც სამშობლოსათვის მებრძოლი, ქართული ენის სადარაჯოზე მდგარი უდრეკი პიროვნება;
- სიღრმისეულად (ასაკის შესაბამისად) ჩასწვდნენ პროექტის განმავლობაში განხილულ მწერლის მოთხრობებისა და წერილების ხასიათს.
- აუმაღლდათ წიგნიერების დონე.
- განუვითარდათ ლოგიკური აზროვნების უნარი; კრიტიკული აზროვნების უნარი; გახდნენ შემოქმედებითები და თავდაჯერებულები; აუმაღლდათ თვითშეფასების უნარი.

განუვითარდათ საბაზისო უნარ-ჩვევები:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობის გამოცდილება;
- ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა გზების უნარ-ჩვევები;
- ბეჭდვის და თავუნას მოხმარების უნარ-ჩვევები (ბეჭდვა, ფუნქციებში შესვლა, კოპირება, ჩასმა და ფაილის დამახსოვრება)
- პროგრამა ვორდის მოხმარების საბაზისო უნარ-ჩვევები.
- პროგრამა “POWERPOINT-ის მოხმარების საბაზისო უნარ-ჩვევები;
- სახელმძღვანელოს შექმნის გამოცდილება;
- პროექტის მანძილზე ვიყენებდი შეფასების მონიტორინგსა და შეფასების სტრატეგიებს;
- მაგ: „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“, პროექტის მიმდინარეობის მანძილზე მრავალჯერ განახლდნენ “დღიურები“- (ჩანაწერები). დღიურებიდან მოსწავლეების პასუხები ზოგად შეკითხვაზე მაწვდიდნენ ინფორმაციას, როგორ დააკავშირეს ნაშრომები პროექტის ფართო მნიშვნელობის საკითხებთან.
- მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები, როგორც პროექტის დასაწყისში ასე პროექტის შუა და ბოლო ნაწილებში - მეხმარებოდა გამეგო მოსწავლეებმა რა იცოდნენ პროექტის დასაწყისში, რა გაიგეს პროექტზე მუშაობის პროცესში და პროექტზე მუშაობის დასრულებისას. მოცემული დოკუმენტები დამეხმარა მოსწავლეების ცოდნის პროგრესის შეფასებაში. პროექტის დაწყებამდე მოსწავლეებმა შეიმუშავეს ჯგუფის გეგმა, რომელიც სწავლის პროცესში დაეხმარათ. პროექტის მიმდინარეობისას წინასწარ შემუშავებული მქონდა წიგნის შეფასების კრიტერიუმები, პროექტზე მუშაობის შეფასების საბოლოო რუბრიკა... შეფასების რუბრიკების კრიტერიუმებს მოსწავლეები წინასწარ ეცნობოდნენ და ცდილობდნენ დასახული მოთხოვნების შესრულებას, რამაც ხელი შეუწყო პროექტის წარმატებას და შედეგზე გასვლას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. იაკობ გოგებაშვილის “საგანძური“, წიგნი 1 გამომცემლობა “განათლება“, თბილისი 1982
2. „იაკობის სამრეკლო, გამომცემლობა “განათლება“, თბილისი-1990
3. „დედა ენა“, გამომცემლობა „დედაენა“-თბილისი 2007, მე-2 გამოცემა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

4. ინტერნეტში სამართები:
5. <https://www.google.ge/search?q=iakob+gogebashvili&biw=1024&bih=455&source=lnms&tbm=isch&sa=X&ei=zII->  
<https://www.google.ge/search?q=iakob+gogebashvili&biw=1024&bih=455&source=lnms&tbm=isch&sa=X&ei=zII->  
[http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91\\_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)
6. <https://www.google.ge/search?q=iakob+gogebashvili&biw=1024&bih=455&source=lnms&tbm=isch&sa=X&ei=zII->  
<https://www.google.ge/search?q=iakob+gogebashvili&biw=1024&bih=455&source=lnms&tbm=isch&sa=X&ei=zII->  
[http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91\\_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98](http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)
7. <https://burusi.wordpress.com/2009/09/16/iakob-gogebashvili/>